სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური – დემოკრატიული კონტროლს მიღმა მყოფი პოლიტიზებული ორგანო

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი





სარჩევი

შესავალი 3

1. პარტიული ნიშნით დანიშნული ხელმძღვანელები და პოლიტიკური გავლენები 4

2. სუს-ის მზარდი მანდატი და უფლებამოსილებების არასათანადო გამოყენება 6

3. სუს-ის საქმიანობაზე კონტროლის არ არსებობა 12

შესავალი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს-ი) 2015 წლიდან დღემდე, პარტიული ინტერესების გამტარ ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა. უწყების მხრიდან, კონკრეტული სამართლებრივი შედეგების გარეშე, სხვადასხვა წლებში გაკეთებული განცხადებები (მაგალითად, „უცხო ქვეყნების“ მხრიდან ჩარევის, „სახელმწიფო გადატრიალებების“ გამოძიების შესახებ), პოლიტიკური ბრძოლისთვის და საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის გამოიყენებოდა. თუმცა, 2025 წელს სუს-ის მოქმედებები უფრო მკაფიო და მკვეთრი გახდა - უწყება აღარ მალავს, რომ მისთვის ქვეყნის უსაფრთხოების მთავარი მტერი დასავლეთია. სუს-ის საქმიანობა 2025 წელს კიდევ უფრო აგრესიული გახდა და ქვეყანაში ავტორიტარიზმის გამყარების ერთ-ერთ ინდიკატორად იქცა.



სუს-ის მანდატი თავიდანვე საკმაო ფართო უფლებამოსილებებს მოიცავდა. უშუალოდ ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის გარდა, მას დაევალა ისეთი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებაც, რომელიც პირდაპირ კავშირში არ არის უსაფრთხოების საკითხებთან.[1] უწყების დაქვემდებარებაში მოექცა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მანდატით აღჭურვილი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო,[2] რამაც არასათანადო კონტროლის პირობებში, ადამიანის უფლებების დარღვევის რისკები შექმნა. 2025 წელს სუს-ის შემადგენლობაში შევიდა დაზვერვის სამსახურიც, რითაც უწყების ძალაუფლება კიდევ უფრო გაიზარდა.[3]

წლების განმავლობაში, სუს-ის პოლიტიზებულ მართვას და ერთპარტიულ კონტროლს (სუს-ის ბოლო 3 ხელმძღვანელი პარტია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები იყვნენ) ვერ აბალანსებდა სუსტი საპარლამენტო კონტროლი. ეს მცირე დემოკრატიული ზედამხედველობის ფანჯარა კი კიდევ უფრო 2024 წლის არჩევნების შემდეგ ჩაიკეტა, როცა ყველა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიამ პარლამენტის ლეგიტიმაცია არ ცნო და ერთი გამონაკლისის გარდა, ოპოზიციურმა პარტიებმა

[1] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, DRI: “ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები და პრაქტიკული ხარვეზები“, 2025,
ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1597/

[2] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, DRI: „ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მანდატი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას - რისკები და გამოწვევები“. 2020.
ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/463/

[3] დემოკრატიის კვლევის ისნტიტუტი, DRI: „პოლიტიკური გავლენები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე და ანგარიშვალდებულების დეფიციტი“, 2025,
ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1688/

მანდატების გამოყენებაზე უარი თქვეს.[4] ამ ვითარებაში სამსახურის საქმიანობა საზოგადოებისთვის ფაქტობრივად სრულად დახურულია და ადამიანის უფლებების დარღვევის რისკები კიდევ უფრო იზრდება.

1. პარტიული ნიშნით დანიშნული ხელმძღვანელები და პოლიტიკური გავლენები

სუს-ის საქმინობის პარტიული კონტროლის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება, მისი ხელმძღვანელი პირების შერჩევის და დანიშვნის პრაქტიკაა. 2015 წლიდანვე უწყების ყველა ხელმძღვანელი „ქართულ ოცნების“ მიმართ ლოიალურად განწყობილი პირი იყო, ბოლო სამი ხელმძღვანელი კი - საქართველოს პარლამენტში პარტიული გუნდის წარმომადგენელი.

კანონმდებლობის თანახმად, სუს-ის ხელმძღვანელის დანიშვნას რამდენიმე ეტაპიანი პროცედურა სჭირდება, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ დროს მოითხოვს. ,,სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის[5] თანახმად, უწყების უფროსის კანდიდატურას საქართველოს პრემიერ-მინისტრი განსახილველად წარუდგენს საქართველოს მთავრობას, ხოლო 1 კვირის განმავლობაში განხილვის შემდგომ, მთავრობამ კანდიდატურა განსახილველად უნდა წარუდგინოს პარლამენტს. საქართველოს პარლამენტი კი 2 კვირის განმავლობაში მსჯელობს სამსახურის უფროსის კანდიდატურაზე და სრული შემადგენლობის უმრავლესობით, 6 წლის ვადით ირჩევს სუს-ის უფროსს.

2025 წელი სუს-ის ხელმძღვანელების ცვლილების კუთხით გამორჩეული იყო. ისტორიაში პირველად, კალენდარული წლის განმავლობაში, უწყებაში სამჯერ შეიცვალა ხელმძღვანელი პირი. 2025 წელი უწყებამ გრიგოლ ლილუაშვილის მმართველობით დაიწყო. როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, ლილუაშვილმა პოსტი, სავარაუდოდ, „ქართული ოცნების“ ამჟამინდელ ლიდერებთან დაპირისპირების გამო დატოვა, მან უარი განაცხადა ირაკლი კობახიძის მიერ შეთავაზებულ რეგიონული განვითარების მინისტრის თანამდებობაზე[6] და ის ანრი ოხანაშვილმა ჩაანაცვლა. უფრო კონკრეტულად კი, მიუხედავად ზემოთ განხილული პროცედურებისა, გრიგოლ ლილუაშვილის მიერ თანამდებობის დატოვების შესახებ საზოგადოებამ მხოლოდ 2 აპრილს შეიტყო, ხოლო უკვე 4



[4] civil.ge გახარიას პარტიის 11 წევრმა სადავო პარლამენტში სადეპუტატო ადგილები დაიკავა. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/70864

[5] საკანონმდებლო მაცნე, „საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/2905260?publication=23

[6] resonancedaily.com მოულოდნელად შეცვლილი გადაწყვეტილება - რატომ არ დანიშნეს დაანონსებულ თანამდებობაზე ლილუაშვილი.
ხელმისაწვდომია: https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=225116

აპრილს საქართველოს პარლამენტმა სუს-ის უფროსად ერთხმად, 79 ხმით, ანრი ოხანაშვილი დაამტკიცა.

ანრი ოხანაშვილის ხელმძღვანელობა სუსი-სთვის ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა და 5 თვე გრძელდებოდა. ამ პერიოდში უწყების საქმიანობიდან ყველაზე გახმაურებული საქმე გიორგი ბაჩიაშვილის ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაკავება და ქვეყანაში ჩამოყვანაა. მისი საპატიმროში გადაყვანის შემდეგ, მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური თავდასხმისა და ცემის ფაქტის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებიდან დაახლოებით 1 თვეში, ანრი ოხანაშვილმა საკუთარი განცხადების საფუძველზე თანამდებობა დატოვა. ბაჩიაშვილის მიმართ ციხეში ძალადობის ინსცენირების საქმეზე კი სუს-მა დააკავა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ყოფილ მოადგილე გიორგი ქემოკლიძე.[7]

ანრი ოხანაშვილის ნაცვლად სუს-ის უფროსად პარლამენტმა 2025 წლის 3 სექტემბერს „ქართული ოცნების“ საპარლამენტო გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა მდინარაძე აირჩია. სუს-ის ხელმძღვანელი პირის არჩევა ყოველთვის იდენტურ ვითარებაში მიმდინარეობდა - ხელისუფლება ასახელებდა მისთვის სასურველ ერთადერთ კანდიდატს და შემდეგ ყოველგვარი პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე ირჩევდა მას თანამდებობაზე. სუს-ის უფროსად ისეთი პოლიტიკოსის შერჩევა, რომელიც გამორჩეული იყო თავისი ანტიევროპული და პოლიტიკური ოპონენტების მიმართ მტრული, რადიკალური რიტორიკით, გარკვეულწილად პოლიტიკურ განაცხადსაც წარმოადგენდა - რომ ეს უწყება კიდევ უფრო მიზანმიმართულად და ღიად გააგრძელებდა, როგორც პოლიტიკური პარტიების დისკრედიტაციას, ასევე „ქართული ოცნების“ მიმართ კრიტიკულად განწყობილი ადამიანების დევნას.

მართლაც, 2025 წლის 6 ნოემბერს პროკურატურის, სუს-ისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი გამოძიების შედეგად სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების, კერძოდ საბოტაჟის, უცხო ქვეყნისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების, საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდების ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პოლიტიკოსების: გიორგი ვაშაძის, ნიკა გვარამიას, ნიკანორ



[7]Interpresnews.ge სუს-ის ინფორმაციით, გიორგი ქემოკლიძემ გიორგი ბაჩიაშვილთან წინასწარი შეთანხმებით, მის საკანში შეიყვანა სპეციალურად შერჩეული ორი პატიმარი, რომლებსაც სცენარის მიხედვით ბაჩიაშვილისთვის ფიზიკური ანგარიშსწორების იმიტაცია უნდა მოეწყოთ.
ხელმისაწვდომია: http://bit.ly/4uOePs9

მელიას, მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ გირჩი ჯაფარიძის, ელენე ხოშტარიას, მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის მიმართ.[8]

2026 წლის 18 მარტს, მოსამართლის წინაშე დაიკითხა ყოფილი სახალხო დამცველი, უჩა ნანუაშვილი.[9] 17 მარტს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა იგი მოწმის სტატუსით უწყებაში, დაკითხვის მიზნით დაიბარა. როგორც განიმარტა, უჩა ნანუაშვილი სისხლის სამართლის კოდექსის 319-ე მუხლით აღძრული საქმის ფარგლებში დაიკითხა, რაც უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარებას გულისხმობს. დაკითხვა უკავშირდებოდა, უფლებადამცველ უჩა ნანუაშვილის კომუნიკაციას, ეუთოს მოსკოვის მექანიზმის ექსპერტთან.

იმ ვითარებაში, როდესაც „ქართული ოცნება“ აგრძელებს მიზანმიმართულ კონფრონტაციას ევროკავშირთან და ამავდროულად, ქვეყნის შიგნით არ დგამს ნაბიჯებს პოლიტიკური პოლარიზაციის და დაპირისპირების შესამცირებლად, მოსალოდნელია, რომ სუს-ის ფუნქცია კვლავ იქნება აქტიური მოქალაქეების კონტროლი, პოლიტიკოსების, უფლებადამცველების დევნა და, საერთო ჯამში, „ქართული ოცნების“ ძალაუფლების შესანარჩუნებლად, უწყების უფლებამოსილებების არასათანადოდ გამოყენება.



2. სუს-ის მზარდი მანდატი და უფლებამოსილებების არასათანადო გამოყენება

სუს-ის შექმნის იდეა უკავშირდებოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ დაპირებას, რომელიც გულისხმობდა მაშინდელი ცენტრალიზებული შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილებების გაყოფას და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის მხოლოდ ოპერატიულ-ანალიტიკურ ფუნქციებზე (საიდუმლო ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზზე) კონცენტრირებას. თუმცა, უწყებას მაშინვე მიანიჭეს საგამოძიებო ფუნქციებიც. შედეგად, სუს-ი წლების განმავლობაში იძიებდა სხვადასხვა წვრილმან დანაშაულებსაც,[10] მათ შორის, წვრილმან კორუფციულ დანაშაულებს.

[8] pog.gov.ge. საქართველოს პროკურატურის განცხადება. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3NEIseM

[9] interpressnews.ge, ,, უჩა ნანუაშვილი სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლის თანდასწრებით გამოიკითხება”, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/864860-ucha-nanuashvili-sasamartloshi-magistrati-mosamartlis-tandascrebit-gamoikitxeba/

[10] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, DRI: ანტიკორუფციული სააგენტო - სამართლებრივი ჩარჩო და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, 2022 წელი.
ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/933/

პრაქტიკაში არის მაგალითები,[11] როდესაც სუს-მა გამოძიება დაიწყო ისეთ მუხლებზე, როგორებიცაა განზრახ მკვლელობის მომზადება (სსკ-ის მე-18 და 108-ე მუხლები); თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ-ის 115-ე მუხლი); ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით (სსკ-ის 124-ე მუხლი); თაღლითობა (სსკ-ის 180-ე მუხლი). ორგანიზაციამ სუსი-გან გამოითხოვა ინფორმაცია, საგამოძიებო სტატისტიკის შესახებ, თუმცა უწყებამ არ მოგვაწოდა აღნიშნული ინფორმაცია, იმ საფუძვლით, რომ მსგავს სტატისტიკას სუს-ი არ აწარმოებს.[12] მიუხედავად იმისა, რომ უწყების წინა ხელმძღვანელობის პერიოდში, ანალოგიური საჯარო ინფორმაცია არაერთხელ მიგვიღია.

ისეთი ტიპის სისხლის სამართლის დანაშაულები, რომლებიც თავისი არსით, სუს-ის საგამოძიებო მიმართულებაში არ ექცევა, საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს.[13] რეალურად კი, ზემოთ აღნიშნული მუხლები, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება და გარკვეულ შემთხვევებში, ის შესაძლოა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურმა გამოიძიოს.[14]

სუს-ის მანდატში მოქცეული კორუფციული დანაშაულების გამოძიება 2025 წლამდე მხოლოდ წვრილმან კორუფციულ დანაშაულებს ეხებოდა. ამ მიმართულებით გამოძიებების შესახებ სუს-ი 2025 წელსაც ავრცელებდა ინფორმაციას. სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ქრთამის აღების,[15] თაღლითობის,[16] ყალბი დოკუმენტაციის დამზადების,[17] კომერციული მოს-



[11] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, DRI: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საბიუჯეტო და ადამიანურ რესურსებს არარაციონალურად ხარჯავს.
ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1484/

[12] სუს-ის უფროსის მოადგილის 2025 წლის 19 ივნისის წერილი N: SSG 92500138175

[13] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 33, ნაწილი 6, ქვეპუნქტი ა).
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=170

[14] სპეციალური საგამოძიებო სამსახური შეიქმნა 2018 წელს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიზანი იყო სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების, საჯარო მოხელეების ან მათთან გათანაბრებული პირების მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიების განხორციელება. 2025 წლის 1-ელი ივლისიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახური გაუქმდა და გადავიდა საქართველოს გენერალური პროკურატურის დაქვემდებარებაში. აღნიშნული ცვლილებები ხელმისაწვდომია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: „საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ", მუხლი 84[1], ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/en/document/view/2905260?publication=23

[15] interpressnews.ge სუს-მა დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დააკავა.
ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/847917-sus-ma-dushetis-tianetis-mcxetisa-da-qazbegis-municipalitetebshi-saxelmcipo-rcmunebulis-moadgile-daakava

[16] interpressnews.ge სუს-მა 4 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოვლენილ კორუფცულ და სხვა სახის დანაშაულებთან დაკავშირებით, 4 პირი დააკავა - ჯამში, პასუხისგებაში მიეცა 11 ადამიანი.
ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/858424-sus-ma-4-sxvadasxva-sisxlis-samartlis-sakmeze-gamovlenil-korupcul-da-sxva-saxis-danashaulebtan-dakavshirebit-4-piri-daakava-jamshi-pasuxisgebashi-mieca-11-adamiani

[17] interpressnews.ge სუს-მა 6 სხვადასხვა საქმეზე გამოვლენილ კორუფციულ დანაშაულებთან დაკავშირებით, 5 პირი დააკავა, მათ შორის მარნეულის მეოთხე საჯარო სკოლის მოქმედი დირექტორი და

ყიდვის[18] და სხვა მსგავსი ბრალდებებით უწყებამ არა ერთი პირი დააკავა. სავარაუდოდ, უწყება ჩატარებული მრავალრიცხოვანი ბრიფინგებით და კორუფციულ დანაშაულებში დაკავებული პირების სტატისტიკის ზრდით, ცდილობს დაამკვიდროს მოსაზრება, რომ: „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დღევანდელი რესურსი აბსოლუტურად განსხვავებულია. ბოლო თვეების განმავლობაში გატარებული შიდა რეფორმების, საკადრო ცვლილებების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესების ხარჯზე, თვისებრივად გაძლიერდა უწყების შესაძლებლობები.“[19]

***

2025 წლის ბოლოს სუსმა ცალკე გაავრცელა გამაფრთხილებელი განცხადება, რომ კორუფციული დანაშაულებების მიმართ მოქმედების ნება და საშუალებები უწყებას გააჩნია და პრევენციულად მოუწოდა ყველას, თავი შეეკავებინათ მსგავი ქმედებებისგან.[20] თუმცა აღსანიშნავია, რომ 2025 წლამდე სუს-ს არასდროს გამოუძიებია მაღალი დონის კორუფციული შემთხვევები. 2025 წელი ამ მხრივ გამორჩეული გახდა. სუს-ის გამოძიებით ბრალი წარედგინათ ეკონომიკის მინისტრის ყოფილ მოადგილეს გიორგი მიქაუტაძეს,[21] თავდაცვის ყოფილ მინისტრს ჯუანშერ ბურჭულაძეს,[22] ყოფილ პრემიერ მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს[23] და თავად სუს-ის ყოფილ უფროსს გრიგოლ ლილუაშვილს.[24] რასაკვირველია, დადებითი მოვლენაა, რომ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მიერ დანაშაულის ჩადენის შესაძლო ფაქტების შესახებ ინფორმაცია, მაგრამ ეს ფაქტები წლების განმავლობაში ჟურ-



შუახევის მერიის თანამშრომელი. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/856578-sus-ma-6-sxvadasxva-sakmeze-gamovlenil-korupciul-danashaulebtan-dakavshirebit-5-piri-daakava-mat-shoris-marneulis-meotxe-sajaro-skolis-mokmedi-direktori-da-shuaxevis-meriis-tanamshromeli

[18] interpressnews.ge სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში ყალბი სამედიცინო მოწმობის დამზადებისა და კომერციულ მოსყიდვაში დახმარების ფაქტებზე სამი პირი დააკავა. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/852071-sus-is-antikorupciulma-saagentom-tbilisshi-kutaissa-da-batumshi-qalbi-samedicino-mocmobis-damzadebisa-da-komerciul-mosqidvashi-daxmarebis-paktebze-sami-piri-daakava

[19] ssg.gov.ge სუს-ის მიერ ბოლო დღენახევრის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული რამდენიმე ღონისძიების შედეგად 13 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე, დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია 29 პირი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4uUeu7q

[20] interpressnews.ge სუს-ი - მკაცრად ვაფრთხილებთ ყველას: გვაქვს ნებაც და საშუალებაც, ბოლომდე ჩავყვეთ ყველა კორუფციულ გარიგებას - გამოიტანონ სათანადო დასკვნები ჩვენ მიერ გადადგმული და გადასადგმელი ნაბიჯებიდან და ხელი აიღონ დანაშაულის ჩადენაზე. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/858425-sus-i-mkacrad-vaprtxilebt-qvelas-gvakvs-nebac-da-sashualebac-bolomde-chavqvet-qvela-korupciul-garigebas-gamoitanon-satanado-daskvnebi-chven-mier-gadadgmuli-da-gadasadgmeli-nabijebidan-da-xeli-aigon-danashaulis-chadenaze

[21] რადიო თავისუფლება, „რომეო მიქაუტაძეს ბრალი წარუდგინეს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში“, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33450843.html

[22] civil.ge “ჯუანშერ ბურჭულაძე უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაკავეს,” ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/700453

[23] პუბლიკა, „რას ედავება პროკურატურა ირაკლი ღარიბაშვილს“, ხელმისაწვდომია: https://publika.ge/ras-edaveba-prokuratura-irakli-gharibshvils/

[24] პუბლიკა, „პროკურატურამ გრიგოლ ლილუაშვილს ბრალი წარუდგინა“, ხელმისაწვდომია: https://publika.ge/prokuraturam-grigol-liluashvils-brali-warudgina/

ნალისტური გამოძიებითაც საჯაროვდებოდა, თუმცა მაშინ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, მათ შორის, სუს-ი არ იჩენდა ინიციატივას აღმოეფხვრა ამ პირების კორუფციული ქმედებები.

თავდაცვის სამინისტროში მინისტრის ყოფილი მოადგილის და მაღალ-ჩინოსნების დაკავების შემთხვევაში, საქმე ეხება დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მიერ სამედიცინო აპარატურის შესყიდვის პროცესში ფასების ხელოვნურ გაზრდას, მოჩვენებითი გარიგებების დადებით და ყალბი საგადასახადო დოკუმენტების მეშვეობით, სამედიცინო აპარატურის რამდენჯერმე გადაყიდვის გზით. გამოძიება ამტკიცებს, რომ ამ სქემის მიხედვით, ბრალდებულებმა სახელმწიფოს, სულ მცირე, 1 333 728 ლარის ზიანი მიაყენეს.[25]

ეკონომიკის მინისტრის ყოფილ მოადგილეს, რომეო მიქაუტაძეს, გამო-ძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ბრალდებას უყენებს. ბრალდების თანახმად, თანხის გაურკვეველი წარმოშობის შენიღბვის მიზნით, ბრალ-დებულმა და სხვა პირებმა დაამზადეს ყალბი ოფიციალური დოკუმენტი, ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, თითქოს ბრალდებ-ულის მეუღლის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში 600 000 ევრო უნდა გადაეხადა ხელშეკრულებაში მყიდველად ფიქციურად დაფიქსირ-ებულ პირს, ბრალდებულის მეგობრის პენსიონერ დედას. რეალურად კი, ბრალდებულის ოჯახს ეს ქონება არ გაუსხვისებია და ხელშეკრულების მი-ზანი ესპანეთში გადასარიცხი თანხის წარმომავლობის შენიღბვა იყო. საინტერესოა, რომ შემოსავლების ლეგალიზაციის ეს სქემა, რომელიც სუს-ის თქმით, მიქაუტაძემ გამოიყენა, ფაქტობრივად იდენტურია ჯუანშერ ბურჭულაძის მიერ გამოყენებული სქემისა, რომლითაც, გამოძიების მტკიცებით, საქართველოში არსებული ქონების ფიქციური გასხვისებით, სახლი ასევე ესპანეთში შეიძინეს. 16 მარტს რომეო მიქაუტაძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.[26]



სუს-ის ყოფილ უფროსს, გრიგოლ ლილუაშვილს ბრალი ედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებას და სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ლილუაშვილის გვარი ჟღერდება ჟურნალისტ ელისო კილაძის და რამდენიმე სხვა პირის საქმეზე[27] და შესაძლოა მისი ბრალი მომავალში ე.წ. ქოლცენტრების საქმეში მონაწილეობით დამძიმდეს. ყო-ფილმა პრემიერმა ღარიბაშვილმა კი უკვე სრულად ცნო თავი დამნაშავედ

[25]bm.ge, ,,თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე და მაღალჩინოსნები ₾1.3 მილიონის გაფ-ლანგვის საქმეზე დააკავეს", ხელმისაწვდომია: https://bm.ge/news/tavdatsvis-ministris-yofili-moadgile-da-maghalchinosnebi-gel13-milionis-gaflangvis-saqmeze-daakaves

[26] რადიო თავისუფლება, ,,10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს ეკონომიკის მინისტრის ყოფილ მოადგილე რომეო მიქაუტაძეს", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4lPtY8w

[27] რადიო თავისუფლება, „სუსის უფროსი, გენპროკურორი, მკვლელობის შემკვეთი, ჟურნალისტი და თაღლითი ერთ სქემაში – „ქოლცენტრების" საქმე" ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4c4urjK

უკანონო შემოსავლების მიღების ფაქტში და ითანამშრომლა გამოძიებასთან. ნაცვლად იმისა, რომ უწყების ხელმძღვანელს გადაედგა მთელი რიგი ნაბიჯები ქვეყანაში მაღალი დონის კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად, სახელმწიფო ორგანოების მტკიცებით, თავად ყოფილა კორუფციულ სქემებში ჩართული.

სუს-ის შემადგენლობაში მყოფი, წლების განმავლობაში პასიური ანტიკორუფციული სააგენტოს მხრიდან ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების დაკავება დროის ხანმოკლე პერიოდში, მმართველი პარტიის შიგნით პოლიტიკური დაპირისპირებების გამოვლინებად უფრო შეიძლება მივიჩნიოთ, ვიდრე კორუფციასთან ბრძოლის ახალ, გააქტიურებულ ეტაპად.

ხაზგასასმელია, რომ არც ერთი ეს პირი თანამდებობაზე აღარ იმყოფებოდა მათი ბრალდების დროისთვის. შესაბამისად, სუს-ის პრაქტიკაში კვლავ არ არსებობს კორუფციული დანაშაულის შემთხვევა მოქმედი მაღალი თანამდებობის პირის მონაწილეობით. უკვე პოლიტიკური გავლენებდაკარგული პირების მიმართ გამოძიების ჩატარება ვერ იქნება სუს-ს როგორც კორუფციასთან მებრძოლი დამოუკიდებელი ორგანოს შეფასების ინდიკატორი. „ქართული ოცნების“ ჩაკეტილი, კლანური სახელისუფლებო სისტემის გათვალისწინებით, ყოფილი მაღალჩინოსნების კორუფციული საქმეების გამოძიება უფრო შიდა პოლიტიკურ ანგარიშსწორებად შეიძლება შეფასდეს, ვიდრე დამოუკიდებელი ორგანოს მიერ წარმოებულ სამართლებრივ პროცესად.

***

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 2025 წლის 25 დეკემბერს უწყებამ ბაჩანა ახალაია[28] დააკავა და ის გამოაცხადა 4 ოქტომბრის დანაშაულებრივი მოქმედებების მთავარ ორგანიზატორად. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და სუს-ი მანამდეც ცდილობდნენ თბილისში მიმდინარე აქციებზე შესაძლო ძალადობრივ სცენარის დაგეგმვაზე ინფორმაციის გავრცელებას. 2025 წლის 11 სექტემბერს გავრცელდა ინფორმაცია უკრაინიდან „ჰექსოგენის“ შემოტანის ფაქტის აღკვეთის შესახებ, რასაც მოჰყვა ოქტომბერში დამატებით მტკიცებულებების ამოღებაზე ინფორმაცია.[29] სუს-ი ამ შემთხვევაში ავრცელებდა ინფორმაციას, რომ ხელისუფლების დამხობის მორიგი გეგმა ისახება, რომლის კულმინაციადაც 4 ოქტომბერს წარმოაჩენდნენ. მანამდე, უწყებამ, ოპოზიციური პარტიის,



[28] civil.ge “ბაჩო ახალაია 4 ოქტომბრის მოვლენების ხელმძღვანელობის ბრალდებით დააკავეს”, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/716101

[29] interpressnews.ge უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარებას გულისხმობს სუს-ი „ჰექსოგენის“ საქმეზე - დადგინდა ბრალდებულ დენის ჟურავლიოვის მიერ გლდანის რაიონში დაქირავებული კიდევ ერთი კონსპირაციული ბინა, სადაც ჩხრეკა ჩატარდა - აღმოჩენილ იქნა კომპიუტერის მიკროსქემები, დოკუმენტები და ფულადი თანხა. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4tc99qp

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი დააკავა.[30]

სწორედ სუს-ი იყო ასევე ის ორგანო, რომელმაც BBC-ის სიუჟეტის საფუძველზე დაიწყო ქიმიური ნივთიერების გამოყენების შესახებ გამოძიება და უარყო „კამიტის“ გამოყენების ვერსია. ამის პარალელურად, უწყებამ დაიწყო გამოძიება უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარების საქმეზე, იმ პირთა მიმართ, ვინც ჟურნალისტებს, მათი შეფასებით, მცდარი ინფორმაცია განზრახ მიაწოდა.[31] ყველა მათგანი, ვინც სიუჟეტში ფიგურირებდა გამოკითხვაზე დაიბარეს.

უწყების ფართო უფლებამოსილება და მანდატის ბოროტად გამოყენების საფრთხე განსაკუთრებით ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობასთან მიმართებით ჩანს. სუს-ის დაქვემდებარებაში მოქმედ სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს გააჩნია ფართო და ფაქტობრივად უკონტროლო უფლებამოსილება - ჩაატაროს საქართველოში ფარული საგამოძიებო მოქმედებები. პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია ამ უწყების მიერ უფლებამოსილების შესაძლო არასათანადო გამოყენების შესახებ. ყველაზე გახმაურებული ასეთი შემთხვევა 2021 წელს მოხდა, როდესაც საჯარო გახდა, რომ სააგენტო, სავარაუდოდ, უკონტროლოდ უკანონოდ უსმენს საზოგადოების, ფაქტობრივად, ყველა ჯგუფს - ჟურნალისტებს, უფლებადამცველებს, სასულიერო პირებს, პოლიტიკოსებს, საჯარო მოხელეებს.[32] სავარაუდო, უკანონო მიყურადების შემთხვევის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა 2025 წელსაც,[33] რაც აჩენს ეჭვს, რომ წლების განმავლობაში მიმდინარე მავნე პრაქტიკა, არ შეწყვეტილა.

სუს-ის მანდატის გაფართოების პროცესის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა 2025 წელს, დაზვერვის სამსახურის სუს-ის ფარგლებში მოქცევით, ეროვნული დაზვერვის სააგენტოს სახელით.[34] მოდელი, რომელშიც საგარეო და შიდა დაზვერვის სამსახურები მოქცეულია ერთ უწყებაში, მოქმედებს - რუსეთში, ბელარუსში, ყაზახეთში და ძირითადად ისეთ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ორგანოებზე დემოკრატიული



[30] radiotavisupleba.ge, ლევან ხაბეიშვილი სუსმა დააკავა,
ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33527762.html

[31] interpressnews.ge სუს - 4-5 დეკემბრის ღამით მასების მართვისათვის გამოყენებული იქნა ნივთიერება ,,ქლორობენზილიდინ მალონონიტრილი'', რომლის გამხსნელადაც გამოიყენეს ,,პროპილენ გლიკოლის'' ხსნარი, არცერთი არ განეკუთვნება აკრძალულ კატეგორიას - ,,კამიტი" კი შსს-ს არასდროს შეუძენია. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/856626-sus-4-5-dekembris-gamit-masebis-martvisatvis-gamoqenebuli-ikna-nivtiereba-klorobenzilidin-malononitrili-romlis-gamxsneladac-gamoiqenes-propilen-glikolis-xsnari-arcerti-ar-ganekutvneba-akrzalul-kategorias-kamiti-ki-shss-s-arasdros-sheuzenia

[32] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, DRI: უკანონო ფარული მიყურადება და თვალთვალი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის განვითარებას, 14.09.2021.
ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/722/

[33] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, DRI: უკანონო თვალთვალი/მოსმენა ავტორიტარიზმის გამყარების ერთ-ერთი საშუალებაა, 15.06.2025. ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1650/

[34] radiotavisupleba.ge, დაზვერვის სამსახური სუსის შემადგენლობაში გადადის. „ეს კატასტროფაა“, ამბობენ ექსპერტები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4dGMAoX

ზედამხედველობა სუსტია ან ფაქტობრივად არ არსებობს. ასეთი შერწყმა და უფლებამოსილებების ერთ უწყებაში კონცენტრაცია ართულებს დემოკრატიულ კონტროლს და ზრდის ადამიანის უფლებების დარღვევის რისკებს.

3. სუს-ის საქმიანობაზე კონტროლის არ არსებობა

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ კანონი სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებს შორის ასახელებს კანონიერებას, ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვას, დისკრიმინაციის დაუშვებლობას, თანაზომიერებასა და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს. ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპებით მოქმედება ზღვარს უნდა უწესებდეს სამსახურის თვითნებობას და მის საქმიანობას აქცევდეს კანონიერ, საზოგადოებისთვის უსაფრთხო ჩარჩოში.



ზედამხედველობის მექანიზმების ერთ-ერთ ფუნქცია კი სწორედ იმის შემოწმებაა, რამდენად შესაბამისობაშია სუს-ის საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილ პრინციპებთან. კანონმდებლობა სუს-ის ზედამხედველობის ფუნქციას არაერთ უწყებას აკისრებს. ვინაიდან უწყება უშუალოდ მთავრობის დაქვემდებარებაშია, ბუნებრივია, იგი ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და აქ სამსახურებრივი სუბორდინაციის და ანგარიშვალდებულების წესი მოქმედებს. საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ადგენს სუს-ზე საპარლამენტო ზედამხედველობის წესებს. საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ პარლამენტის წევრის კითხვა, ნდობის ჯგუფის ფორმატი, (საგამოძიებო) კომისიები, ინტერპელაცია, სამსახურის უფროსის პლენარულ სხდომაზე დაბარება, კომიტეტის სხდომაზე დაბარება და ასევე სამსახურის საქმიანობის წლიური ანგარიშის მოსმენა. ამასთან, კანონმდებლობა პარლამენტს და მის ცალკეულ წევრს ზედამხედველობის განსახორციელებლად არაერთ უფლებამოსილებას ანიჭებს, მაგრამ ამ ბერკეტების გამოყენებისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება და უწყების საქმიანობის მიმართ პარლამენტის წევრების დაინტერესება.

მას შემდეგ, რაც 2024 წლის არჩევნების შემდეგ ერთპარტიული პარლამენტი შედგა, საპარლამენტო ზედამხედველობა ანულირებულია. პარლამენტის წევრების ისედაც არცთუ დიდი რაოდენობით გაგზავნილი კითხვები, მიმდინარე მოწვევის პარლამენტში სრულიად გამოუყენებელია. რეალურად, წერილობითი კითხვის გარდა, უწყების მისამართით პრაქტიკულად არცერთი მექანიზმი არაა გამოყენებული - **შექმნიდან დღემდე, სუსის უფროსი არ დაუბარებიათ ინტერპელაციის წესით კომიტეტის სხდომაზე, პლენარულ სხდომაზე, არ შექმნილა დროებითი საგამოძიებო კომისია სუსის საქმიანობასთან დაკავშირებით, წლიური ანგარ-**

იშების განხილვა კი ძირითადად, დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. ხშირ შემთხვევაში, მექანიზმის გამოყენებას ,,ქართული ოცნების“ წევრებმა შეუშალეს ხელი. მაგალითად, მეათე მოწვევის პარლამენტის ოპოზიციური წევრების ინფორმაციით, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტზე ვერ მოხერხდა სუს-ის უფროსის, გრიგოლ ლილუაშვილის, დაბარება, რადგან ,,ქართული ოცნების“ წევრებმა ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს. ერთადერთი მექანიზმი, რომელიც პარლამენტის წევრების მიერ უწყებასთან მიმართებით გამოიყენებოდა, წერილობითი კითხვებია. წლების განმავლობაში, წერილობითი კითხვების რაოდენობა მეტ-ნაკლებად მზარდი იყო: 2015 წ. – 2, 2016 წ. – 1, 2017 წ. – 2, 2018 წ. – 1 , 2019 წ. – 2 , 2020 წ. – 1, 2021 წ. – 11, 2022 წ. – 29, 2023 წ. – 17, 2024 წელს კი 3 წერილობითი კითხვა გაიგზავნა.

“ქართული ოცნების” საკადრო პოლიტიკა და მათი ყოველდღიური მოქმედება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პარტია, კვლავ აპირებს სახელმწიფო ინსტიტუტები, მათ შორის უსაფრთხოების სამსახური, გამოიყენოს პოლიტიკური პოლარიზაციისთვის, ოპონენტებზე თავდასხმისა და ერთპარტიული, ავტორიტარული მმართველობის გამყარებისთვის. ამ ვითარებაში მწვავე პოლიტიკური კრიზისი, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ყოველგვარი დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების მოშლა, მხოლოდ გააღრმავებს და ხელს შეუწყობს ქვეყანაში ადამიანის უფლებების ანულირების პროცესს.